ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 2.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

ᲥᲝᲗᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1913 ᲬᲔᲚᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲗᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲝᲗᲔᲚᲔᲑᲔᲡ (ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲐ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ—ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲨᲔᲣᲨᲐᲚ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ:	ᲜᲐᲮ. ᲬᲚᲘᲗ:	ᲡᲐᲛᲗᲕᲐᲠᲘ ᲗᲕᲔᲗ:
4 ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ.	2 ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ.	1 ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ.

ᲪᲚᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲤᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐᲡᲐᲚᲒ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐᲡᲐᲚᲒ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. 2. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲥᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ 25 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ—ᲓᲔᲙ. Ჯ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡᲘ; 3. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ—ᲛᲐᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ; 4. ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲛᲓᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ—ᲛᲦᲕ. Ს. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔᲡᲘ; 5. ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲛ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ. 6. ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ—ᲛᲦ. ᲓᲔᲙ. Ⲙ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔᲡᲘ; 7. ᲣᲡᲐᲑᲣᲗᲝ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ—ᲮᲔᲚᲘᲡᲐ; 8. ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲔᲙ. Ⲙ. ᲔᲠ. ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔᲡ—ᲓᲔᲙ. ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ ᲓᲕᲯᲐᲜᲝᲡᲘᲫᲔᲡᲘ; 9. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ Ა) ᲛᲦ. ᲐᲛᲑᲔᲠᲙᲘ ᲗᲛᲘᲗᲣᲠᲘᲐᲡᲘ Ბ) ᲛᲦ. Ⲙ. ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲕᲘᲡᲣᲜᲗᲥᲝᲗ, ᲡᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲕᲚᲐᲜᲫᲚᲐᲕᲔᲜ, ᲐᲠ ᲒᲕᲐᲒᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲫᲐᲚᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲡᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘ, ᲡᲐᲘᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲘᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲡ (ᲗᲣ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲕᲐ) ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲡᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲦᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲝᲑᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣ-

როთ ჩვენდა, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეროვნული დაწესებულება, ესეც დიდ კრიზისს განიცდის დღეს, კრიზისს თით ქმის უიმედოს და თუ კიდევ ღორძინობს და ცოტა ხანსაც კიდევ ღორძინებს უნდა უმადლოდეთ ბ. გამგის ინოცხელის და მის თანამშრომელთა მამულიშვილურ ენერგიას და თავდადებულობას. მაგრამ სანამ უნდა გვყავდეს ასეთ განსაცდელში ეს პატივცემული მოღვაწენი, სანამ უნდა გაუძლოს მათმა თავდადებულობამ ჩვენ გასალკლევებულ უგულობას, შეუგნებლობას და დაუდევრობას, სანამ უნდა იმუშაონ და იღვაწონ იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც ჩაყენებულია დღეს ჩვენი ქუთაისის ქართული გიმნაზია? „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“- გასტეხს დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ჩვენი საზოგადოების უგულობა, გასტეხს მათ მამულიშვილურ გულს, დასძლევს მათ მხნეობას, მათ ბეჯითობას და (სათქმელადაც კი შემზარავ-შემამრწუნებელია) დაიფუშება, წახდება, დაეცემა და განადგურდება დიდი ეროვნულად აღმზრდელი და განმანათლებელი საქმე, წარეცხება საფუძველი ჩვენი მომავალი დიდებისა, ვეღარ ასცილდება გადაგვარგადარჯულების გზას ჩვენი ახალთაობა და ამნაირათ თუ სამუდამოთ არა დიდი ხნობით მაინც შეფერხდება, შესდგება ჩვენი ეროვნული წინსვლა.

მე მგონია ყველას კარგათ მოეხსენება სასწავლებლის მატერიალური უნუგეშო მდგომარეობა და არავინ იკითხავს ჩემი ისაიასებური გოდების მიზეზს; მე მგონია ყველამ იცის, როგორი, უმეტეს ნაწილათ, ღარიბი მშობლების შვილები სწავლობენ ამ სასწავლებელში, მე მგონია ყველა ცხადათ ხედავს, როგორი ღრიტინ-მუდარით, გროშ - კაპეიკობით შეაქვთ და ღებულობენ სასწავლო გადასახადს. და სასწავლებელს კი ამის მეტი სახსარი არ გააჩნია!? სასწავლო გადასახადი, --აი ალფა და ომეგა, ჰაე და ჰოე, დასაწყისი და დასასრული იმ წყაროისა, რომელსაც ამ სასწავლებლის შენახვა წყაროს ეძახიან. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს, ასეთ ნიადაგზე ეროვნულ საქმის მიტოვება. რას გახდება ეს საცოდავი სასწავლო გადასახადი? რომელი ერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, რომელ ერთ ჭირს გაუძლოს, — სასწავლებლის შენობა გამოის ყიდოს, რომელიც დღეს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკზე ირიცხება, მასწავლებლების ჯამაგირები გაისტუმროს, თუ ათასგვარი სხვადასხვა აუცილებელი და უსაჭიროესი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს? რა ჰქმნას, გკითხავთ მე, იმ ქვრივ-ოხრების და ღარიბ ღატაკების შემოტანილმა გროშ-კაპეიკებმა, რომლებიც შინ თითონაც შიმშილით იხოცებიან და ბავშებსაც შიმშილ-სიცივით ხოცავენ?

სასწავლებლის ხანგრძლივად ასეთ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია; უკეთეს შემთხვევაში მას ამოხდება ის ეროვნული სული, რომელიც მხოლოდ ერთია მოსაწონი და სანატრელი მის არსებობაში. საჭიროა ახლავე, დღეიდგანვე შეუდგეთ თავდარიგს, საჭიროა სხვადასხვა ეროვნულ დაწესებულებებში, წოდებრივ და პროფესიონალურ საზოგადოებებში, სხვადასხვა წრეებში პირდაპირ დაყენებულ იქნეს ეს სადღეისო საჭირბოროტო საკითხი, თუ როგორ მოუაროთ, როგორ შევინახოთ, ვაცოცხლოთ და ვასულდგმულოთ **ქართული სასწავლებელი** დღეს გიმნაზიათ წოდებული.

ჩვენ პირადად ყოველთვის გვაინტერესებდა და მასთან გვაფიქრებდა კიდეც ქართული შკოლის ბედი, ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ შკო-

ლას შეუძლია შექმნას და ამიტომ საჭიროა შეიქმნას ნამდვილ უტყუარი წყარო, რომელიც ასულდგმულებს ასეთ შკოლას. კერძო ქველმოქმედებაზე და სასწავლო გადასახადზე დამყარება ამ საქმეში სილაზე სახლის შენება იქნებოდა. ქველმოქმედება, ჩვენში მაინც, და ისიც წვრილი ვერ შექმნის ვერაფერ მსხვილ კულტურულ დაწესებულებას, მით უფრო ვერ მორთავს ეროვნულ სწავლა-განათლების საქმეს. ამისათვის საჭიროა სხვა რამ ინტერესიც, გარდა ქველმოქმედებით თავის გამოჩენისა და სულიერი დაკმაყოფილებისა, საჭიროა ცოტა რამ მატერიალური ინტერესიც თან ახლდეს სულიერს. საჭიროა შევადგინოთ აქციონერული, ან პაებით, სწავლა-აღმზრდელი საზოგადოება (учебно-воспитательное общество), ეს საზოგადოემა შეინახავს ქართულ შკოლას ქ. ქუთაისში და, თუ შეძლება ექნება, სხვაგანაც. ხოლო სასწავლო გადასახადს, რომელიც შემოვა ამ შკოლებში, დაურიგებს თავის წევრებს დივიდენდის სახით. აქციის ან პაის პატრონს უფლება არ ექნება თავის ფული უკან დაიბრუნოს, სანამ ცოცხალი იქნება ქართული შკოლა, ხოლო დივიდენდით კი ყოველთვის ისარგებლებს. დაწვრილებით და დალაგებით ამ საგნის შემუშავება, რომელსაც დარწმუნებული ვარ ბევრი მომხრე აღმოუჩნდება, უნდა იტვირთოს ქუთაისის ქ. შ, წ. კ. გ. საზოგადოებამ, თვით ქუთაისის ქართული გემნაზიის გამგემ ბ, ი. ოცხელმა, უფრო კი პირველმა. ურიგო არ იქნება დაუყონებლივ შეუდგებოდენ ამ საქმის მოწესრიგებას. თუ მაინცადამაინც ვინმეს ეჰვი დაებადება ამ საქმის კეთილად დაბოლოებაში, ნუ დაივიწყებს, „რომ ცდა ბედის მენახევრეა“ და მამიასი არ იყოს „არა რა არს უსაშველო...“!

სიტყვა,

თქმული ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიაში 1912 წლის ქრისტეშობისთვის 25.

> სადა არს, რომელი იგი იშვა მეუფე? მოვედით თაყვანისცემად მისსა. (მატთესაგან 2, 2).

კითხულობდნენ აღმოსავლეთით იერუსალიმს მოსრულნი მოგვნი და თავიანთის საკითხით ჩვენც გვაიძულებენ, გავიგოთ, თუ საითგან, ან როგორ დაიბადა საკითხი იგი წარმართთა შორის, და რამ აიძულა წარმართნი, რომ ურიათა მეფის თაყვან საცემლათ წასულან!

ამ საკითხთა გამოსარკვევად საჭიროა მოვიგონოთ ჩვენს ყრმობაში შესწავლულნი მოთხრობანი ებრაელთა ერის ისტორიისა. ვიცით, რომ დავით და სოლომონ მეფეთა მიერ შექმნილი საკმაოდ ძლიერი სამეფო ებრაელთა სოლომონ ბრძნის მიცვალების შემდეგ გაიყო ორ სამეფოდ. სამწუხაროდ, სულითა და ხორცით მონათესავე ის ორი სამეფო ერთმანერთის მძულვარებამ, მტრობამ და ომებმა იმოდენად დაასუსტა, რომ გარეშე მტრებისათვის ადვილი შეიქმნა მათი დამხობა. პირველად ბოლო მოელო ისრაელთა სამეფოს ასურთა ხელით. ხოლო ასის წლის შემდეგ ურიათა სამეფო მოაოხრეს ბაბილონელთა. დამარცხებულნი და დატყვევებულნი ებრაელნი ზოგი გაჰყიდეს, ზოგი გადაასახლეს ხოლო ტყვეობას გადარჩენილნი იძულებულ-ჰყვეს. თავი შეეფარეანით ეგვიპტისა და საბერძნეთ-რომისათვის.

ამ სახედ, ებრაელთა სამეფო მოისპო, მაგრამ ებრაელთა ერი არ მოსპობილა. ტყვეობასა და უცხოებაში იგი გამოფხიზლდა მალე და შეუდგა იმ მიზეზთა გამორკვევას, რის გამოც ეწია მწარე

ბედი. ამ ძიება—გამოკვლევამ ისრაილი დაარწმუნა, მიზეზად შენის უბედურობისა უნდა შეირაცხოს ღვთის ურჩობა და მის მცნებათა დავიწყებაო. მოაგონდა გაფრთხილებაცა სჯულის მდებელის დიდი მოსე წინასწარმეტყველისა: „აჰა ესე რა მომიცემიეს თქვენ წინაშე დღეს დღე ცხოვრება და სიკვდილი, კეთილი და ბოროტი, უბრძანა მოსემ ებრაელთა ერს სიკვდილის წინადღეებში, ისმიხო თუ მცნებანი უფლისა ღვთისა შენისანი და შეიყვარო შენ უფალი ღმერთი შენი, და ხვიდოდე ყოველთა გზათა მისთა... სცხოვნდეთ და გაკურთხნეს, და განგამრავლოს ღმერთმან თქვენმან... უკეთუ გარდაი-რაიმე-იცვალოს გული შენი, და არა ისმიხო შენ, და შესცოდე და თაყვანის სცემდე შენ კერპთა უცხოთა და მსახურებდე შენ მათ, გაუწყებ შენ დღეს დღე, რამეთუ წარწყმედით წარსწყმდეთ თქვენ და არა დღეგრძელ იყვნეთ თქვენ ქვეყანასა მას ზედა, რომელი იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ (მეორე სჯულთა 30, 15—18)“. შეიგნო რა ისრაილმა მიზეზი თავის უბედურობისა, მყისვე შეუდგა ღვთის სჯულის საფუძვლიანად შესწავლას, საკუთარის ცხოვრების მასთან დაკავშირებას და მას ზედა დამყარებას. ამგვარმა მუშაობამ გამოიღო სასურველი ნაყოფი: ისრაილი გამოცოცხლდა, ზნეობრივად გაფაქიზდა, წელი გაიმაგრა, და ტყვეობასა და უცხოებაში საპატიო ადგილი დაიჭირა. წინასწარმეტყველი დანიელი თავის მეგობრებით მარდოქე და ესთერი ფრიად ცნობილნი ყვნენ ბაბილონსა და სპარსეთში, და მათი სჯულიც დიდს ყურადღებას იქცევდა აღმოსავლეთის წარმართთა შორის

უკეთ მოაწყეს თავიანთის სჯულის შესწავლის და გავრცელების საქმე ურიათა დასავლეთში: ეგვიპტეში, მაგალითად., მათ აღაშენეს იერუსალიმის ტაძრის ბადლად ახალი ტაძარი, სთარგმენს თავიანთი საღვთო წერილი ბერძნულად და საშვალება მისცეს წარმართთაც, გაეცნოთ ეს ჯურღმული და წყარო ჭეშმარიტის ღვთის ცნობისა და მის სათნო ცხოვრებისა; ვრცელის იმპერიის თითქმის ყველა ქალაქში გახსნეს სალოცავ-შესაკრებელნი, იწყეს ქადაგება და თარგმანება სჯულისა და წინასწარმეტყველთა. და საქვეყნოდ განაცხადეს, არ გვეშინიან ტყვეობა-უცხოებისა, ვინათგან მალე დადგება დრო, ოდეს შეიწყნაროს უფალმან ნეშტნი ერისა თვისისანი (იერემია 23, 3), და მოუვლინოს მას კვერთხი ძირისაგან იესსესა (ისაია 11, 1), რომლისა სახელი არს აღმოსავალი, მართალი, (იქვე, 5), ემმანული—ჩვენთანა ღმერთი (ისაია 7, 14), დიდისა განზრახვისა ანგელოზი, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნისა (იქვე, 9, 6). ისრაილთა ქადაგებამ მიიქცია წარმართთა ყურადღება, იმათაც სიხარულით იწყეს ლოდინი ამ სანეტარო დროის დადგომისა. ბევრისაგან ბევრმა წარმართმა დაუტევა მამა-პაპათა სარწმუნოება და მიიღო სჯული მოსესი. ამგვარი ხალხი, მწირის სახელწოდებით ბლომად მოიპოვებოდა პართასა და მიდიაში, შუამდინარესა და მცირე აზიაში, ეგვიპტესა და ლიბიაში, კვირინესა და რომში, კრიტესა და არაბეთში (საქმე მოციქულთა 2, 9-11) და სუყველანი მოუთმენლად მოელოდნენ ქრისტე ღვთის გამოცხადებასა. ეს მოლოდინი მით უფრო ცხოველდებოდა, რომ უკვე მოახლოვდა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ აღნიშნულთა სამეოც და ათთა შვიდეულთა აღსასრული. ამის გამო, იმ დროს ებრაელთა მმართველნი, მაკაბელნი, თავიანთ თავს როდი უწოდებდენ მმართველებად, არამედ დროებით გამგედ და წინამძღვრად, ვიდრემდის აღდგეს წინასწარმეტყველი სარწმუნო (I მაკაკ. 14, 4)

და თუ ვინმე მქადაგებელი ან წინასწარ-მეტყველი მიიქცევდა საზოგადოების ყურადღებას, მაშინვე დაიწყებდნენ კითხვას,— ნუ უკვე ეს არს ქრისტე? (მატ. 11, 3, იოან. 1, 20).

ებრაელთა და მწირთა მოლოდინი ქრისტესი ნელ-ნელა ვრცელდებოდა წარმართთა ფართო-წრეებში, მით უმეტეს, რომ ხელს უწყობდა თვით წარმართთა ზნეობრივი ყოფა. დიდებულნი სამეფონი ეგვიპტისა, ასურეთისა, ბაბილონისა, სპარსეთისა და ალექსანდრე მაკედონელისა დაიმსხვნენ და ადგილი დაუთმეს რომის საბრძანებელსა. რომმა თავისი ბატონობა სხვათა შორის იმით აღნიშნა, რომ ამ ყოფილ სამეფოთა და სხვათა მის მიერ დამორჩილებულ ერთა ღმერთები თავის პანთეონში მოაგროვა, და ამ სახედ ცხად-ჰყო, რომ არც ერთი მათგანი არ იყო ჭეშმარიტი ღმერთი, ამ გარემოებამ კი დაჰბადა ურწმუნოება და უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ჩაადგო გარყვნილების მორევში: უზომო სმა-ჭამა უზრუნველი ცხოვრება, მრუშება, მეძაობა და უკანასკნელ, საკუთარის ხელით სიცოცხლის მოსპობა,—აი მიზანი მათის არსებობისა.

საბედნიეროდ, საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა ამ შავ-ბნელს მსოფლიო მხედველობას ვერ შეურიგდა, და დაიწყო ძებნა მხსნელისა და მშველელისა, მაგრამ წარმართობამ იგი ვერ მისცა. აი სწორედ ამ დროს ათხოვეს მათ ყური მწირთა და ებრაელთა მოლოდინს და სასოებით დაიწყეს ცქერა აღმოსავლეთისაკენ. რომაელების მეისტორიენი სვეტონი და ტაციტი მოგვითხრობენ, რომ მათ სამშობლოში და სხვაგანაც გავრცელებული იყო თქმულება, რომ მალე აღმოსავლეთში უნდა აღმოჩნდეს ისეთი მეფე, რომელმაც უნდა დაიპყრას ქვეყნიერობა და მიანიჭოს მას ბედნიერება. ამ მწერალთა მიერ გადმოცემულს თქმულებას მეტის სიცხოველით ასურათებს რომის მგოსანი ვირგილიოსი. ის ქებადიდებით ამკობს იმ ყრმას, რომელიც ზეცით უნდა ჩამოვიდეს ქვეყნად და აღადგინოს ოქროს საუკუნე; მან უნდა მიანიჭოს კაცობრიობას მშვიდობა, ქვეყანას პოხიერება, დაამყაროს ლომსა და კრავსა შორის მეგობრობა, შეუმსუბუქოს ტვირთი მძიმე ხარსა, და მოსწმინდოს ტანჯვის ოფლი მხვნელ-მთესველსა. ცხადია, რომ მგოსნის აღფრთოვანებას კავშირი აქვს ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებთან: „ყრმა იშვა ჩვენდა ძე... და მშიდობისა მისისა არა არს საზღვარ... მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა, ვეფხვი თიკანთა თანა განისვენებდეს, და ზვარაკი და ლომი და კურო ერთად ძოვდენ... და ხარი დათვისა თანა ძოვდეს.. ლომი, ვითარცა ხარი ბზესა ჭამდეს... ყრმამან მცირემან ხვრელსა ზედა ასპიტისასა... ხელი დასდვას და არა რაი ძვირი უყოს მას (ისაია 9, 6-7, 11 6-9). ამ გვარად, განთესულთა ებრაელთა მოლოდინობით, ღვთის განგებამ მოამზადა ნიადაგი 1912 წლის წინად განხორციელებულის ქვეყნის მაცხოვრის მოსვლისა და ქადაგებისათვის. ხოლო იქ, სადაც ცხოველ იყო ხსოვნაც ბალამ წინასწარ-მეტყველის მიერ ხილულის ვარსკვლავისა იაკობისაგან (რიცხვთა 24, 17), აღმოუბრწყინდა ვარსკვლავი, რომელმაც მიიყვანა მოგვნი იერუსალიმს და ებრაელთა გამოსაფხიზლებელად აკითხვინა: „სადა არს, რომელი იგი იშვა, მეუფე ურიათა? მოვედით თაყვანისცემად მისსაო“!.

დეე, ამ საკითხმა გამოგვაფხიზლოს, საყვრელნო, ჩვენცა და მსგავსად მოგვთა ღირს გვყოს კანდიერებით თაყვანის ცემად მისსა, რომელსაც თექვსმეტის საუკუნის განმავლობაში წრფელის გულით მსახურებდნენ მამანი ჩვენნი და ანგელოზთა გუნდთა თანა უგალობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა

ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება! ამინ.

ლეკ. კ. ცინცაძე.

წმ. ნინოს დღესასწაული სტამბოლში.

14 იანვარს (ახ. სტილ.) აქაურ ქართველ მამათა უმანკო შთასახების სავანის ტაძარში მისი წინამძღვრის პატივცემულ მამა პიო ბალიძის მიერ და მღვდელ შალვა ვარდიძის თანამწირველობით შესრულებულ იქმნა წმიდა ლიტურგია ქართულ ენაზედ. ამ იშვიათმა მოვლენამ აქაურ ქართველთა ცხოვრებაში მრავალ მათგანს მოუყარა თავი პატარა, მაგრამ კოპწია მონასტრის საყდარში. წირვის დროს გალობდა ჩინებულად მომზადებული მგალობელთა გუნდი მამა კოსტანტინე საფარაშვილის ლოტბარობით. ტრაპეზი მორთული იყო წმინდა ნინოს მშვენიერი სურათით და ფრიად მნიშვნელოვანი ქართული წარწერებით.

განა რა არის გასაკვირველი ამ მოვლენაში, შეიძლება იკითხოს განცვიფრებულმა მკითხველმა. რა არის გასაკვირველი მასში, რომ ქართველებს თავიანთ ენაზედ ულოცნიათ იმ ქვეყანაში, სადაც ამისათვის არაფერი დაბრკოლება არ არსებობს და სადაც ათასგვარ ენაზედ იწირება უსისხლო მსხვერპლი წმინდა სამსხვერპლოზედ? რათ უნდა იყოს ეს მოვლენა განსაცვიფებელ იქ, სადაც შორეულ არაბეთიდან და სირიიდან გადმოხვეწილნიც კი ყოველ დღე ღმერთს თავიანთ სამშობლო ენაზედ ევედრებიან?!... ჰო, მეც დავეთანხმებოდი განცვიფრებულ მკითხველის აზრს, რომ მე კარგათ არ ვყოფილიყავი ჩახედული აქაურ ქართველთა ცხოვრებაში.

იყო დრო, როცა ამ მონასტერშიც არ უკვირდათ ქართული წირვა. განსვენებულ მონასტრის დამფუძნებელს აბბატს პეტრე ხარისჭირაშვილს, რომელიც უღრმესი პატრიოტიზმით იყო განმსჭვალული, აზრათ ჰქონდა თავისი პატარა მონასტერი ოსმალეთის ქართველობის ცენტრად ექცია და რასაკვირველია ქართულ ტიბიკონს მონასტრის ცხოვრებაში ჯეროვან ყურადღებას აქცევდა. მის დროს ნახევარზე მეტი მღვდლები ქართულ ტიბიკონსა იყვნენ და ყოველ დღე ასრულებდნენ ღვთის მსახურებას თავიანთ სამშობლო ენაზედ. არა მარტო თავის სიცოცხლის დროს უწევდა განსვენებული მამა პეტრე განსაკუთრებით მფარველობას ქართულ ტიბიკონს, არამედ კანონად ღასდო, რომ შემდეგშიაც სამუდამოთ ხსვნებულ ტიბიკონის მღვდელნი უნდა ყოფილიყვნენ ნახევარნი მთელი მონასტრის მამათა რიცხვისა...

მაგრამ... მაგრამ tempora mutantur et nos mutamur in ieis! ღვაწლით შემოსილი მამა ხარისჭირაშვილი მოშორდა სამუდამოთ ცხოვრებას და თავის პირმშო მონასტერს და მასთან ერთად ქართულმა ტიბიკონმა დაჰკარგა თავისი მფარველი და სულის ჩამდგმელი. სანამ ცოცხალნი იყვნენ მის დროსვე ნაკურთხნი ქართული რიტოს მღვდლები, მაინც არ ჰქრებოდა დამაარსებელის ანდერძი, მაგრამ მათაც დრომ ბოლო მოუღო და ეხლა მთელ მონასტერში მილეული სანთელსავით ოდნავად ბეუტავს ეს დიადი ანდერძი. ეხლა აქ ქართულ ტიბიკონს მარტოთ მარტო ერთი წარმომადგენელი ჰყავს მამა პეტრესვე დროს ნაკურთხი მოხუცი მღვდელი გრიგოლ ათოშვილი, და ამ უკანასკნელსაც ხმოვანი წირვა სიბერის და სნეულობის გამო არ შეუძლია. ასეთია აწინდელი სულთმობრძავი ქართული ტიბიკონის მდგომარეობა კონსტანტინეპოლის ქართველთა სავანეში. აბბატ ხარისჭირაშვილის მერმე ერთი მღვდელიც არ კურთხეულა ქართულ წესზედ.

რამ მოიტანა ეს მოვლენა, რა არის ამის მიზეზი? ვის რა დაუშავა ქართულმა წირვა-ლოცვამ, რა ქარიშხალმა მიიყვანა ის ამ ძირიან ფესვიან ამოგდებამდის? რათ მოხდა ეს, რომ ლათინურ წირვასთან ერთად აღარ ისმის ტკბილი ქართული? განა რომი წინააღმდეგია ქართული ენისა? ამისთანა საკითხები ბევრი დაებადება ყველა გულშემატკივარს ქართველს,

მაგრამ სულ ტყუილი იქნება ამ სამწუხარო მოვლენის ახსნა გარეშე დაბრკოლებებით. მახინჯებმა გააფუჭეს საქმე. ციხე შიგნიდან გატყდა. ამას წინეთ წინამძღვრად ყოფილმა პატრმა ბენედიქტე ჩილინგაროვმა უარჰყო ჩვენი ტიბიკონი იმ მიზეზით, რომ ეს არ აქვს განხილული რომს და ამიტომ ქართული წირვა-ლოცვა შეუწყნარებელიაო. ამ გალათინების და გადაგვარების მოტრფიალე ღვთის მსახურმა რომიდან საჩქაროთ გამოიწერა ოთხი ახალგაზრდა სტუდენტი, რომელნიც ქართულ-ბერძნულ ტიბიკონზე უნდა კურთხეულიყვნენ და ლათინურათ აკურთხებინა მღვდლებათ, და რომელნიც ეხლაც დიდის სიამოვნებით გადავლენ ქართულ ტიბიკონზედ, თუ მათ რომი ნებას მისცემს.

პატრი ბენედიქტეს დროს აქაურმა ქართველებმა დაჰკარგეს იმედი სამშობლო ენაზედ ღვთის მსახურების მოსმენისა და ძალიან იშვიათად დადიოდნენ მონასტერში. მაგრამ მონასტრის ახალმა გამგეობის არჩეულებმა სრულიად შესცვალეს ეს დაქვეითების სურათი.*)

ახალგაზრდა უფროსი პატივცემული მამა პიო ბალიძე და მასთან ერთად შეზრდილნი თანაშემწენი დიდს უნარს იჩენენ საზოგადოდ მონასტრის მართვა-გამგეობაში და განსაკუთრებით ქართული ტიბიკონის უფლებების ხელახლა ნებართვის მოპოვებაში, დღეს მამა პიოს თხოვნით ნება მისცა უწმინდესმა პაპა პიო მე X-მ ეწირნა მას ლათინური წესის მღვდელს-ქართულათ (sic). თუ რომს განხილული არა აქვს ქართული ტიბიკონი, მაშ რათ მისცა პაპმა მამა ბალიძეს ესეთი ნებართვა? მაგრამ აქ განხილვაში არ არის საქმე... მანდ, ჩვენ სამშობლოშიაც გვყავს ისეთი ქართველი კათოლიკე მღვდლები, რომელნიც პ. ბენედექტესავით მოილათინებენ. მაგრამ ნუ დავასახელებთ: nomina sunt odiosa.

აი რისთვის იყო ჩვენთვის ეს დღე ქართველთა მოციქულის ხსოვნის განსაკუთრებით გასახარებელი. ყველა დამსწრეს სახეს აღელვების და სიხარულის ნიშანი ეტყობოდა. ყველა ერთხმათ გაიძახოდა: ღმერთო ხელი მოუმართე მამა პიოს მის კეთილშობილ განზრახვაში, რომ ჩვენ კვლავ გვესმოდეს ჩვენ ენაზე წირვა ლოცვაო.

წირვაზედ მამა პიომ ფრიად მხურვალე და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ის შეეხო სხვათა შორის ქართულ ტიბიკონის საკითხს და სთქვა, რომ პაპს არაფერი ჰქონია მის საწინააღმდეგო და სასტიკათ დაჰგმო შინაური თუ გარეული მტერი.

წირვის შემდეგ დამსწრენი მოწვეულ იქმნენ წინამძღვრის მიერ ტაბილეულობაზედ. იქ ამ დროსვე შემუშავებულ იქმნა სამადლობელი ადრესი პაპისადმი. უსურვებთ მამა პიოსს და მის თანამოძმეთ, რომელთაც თავისი მოქმედების საფუძვლათ მონასტრის დამფუძნებელის ანდერძი დაიდეს, ენერგიულათ და მხნეთ განაგრძონ თავიანთი კეთილი საქმე. სრულიათ განახორციელონ თვისი ფართო განზრახვანი და კვალად სიცოცხლის სული ჩაჰბერონ მომაკვდავ ქართულ ტიბიკონს მონასტერში.

მარანელი.

ცოტა რამ საკრედიტო ამხანაგობაზე.

სამღვდელოების საყურადღებოთ.

საკითხი სოფლის მცხოვრებთათვის წვრილი კრედიტის ანუ სესხის მოწყობის და მის მტკიცე ნიადაგზედ დაყენების შესახებ დღეს ერთ უმთავრეს საკითხთაგანს შეადგენს, როგორც მთავრობისათვის ისე საზოგადოებისათვის. ჯერ კიდევ 1895 წელში იქმნა დამტკიცებული წვრილი კრედიტის წესდება, რომლითაც ამ დაწესებულებებს მიეცა ფართო უფლებები და მტკიცე ნიადაგზე იქმნენ დაყენებულნი. წვრილი კრედიტის საქმე მოითხოვს სერიოზულ დაკვირვებას და შეადგენს ხალხის კეთილდღეობის ერთ უპირველეს საშუალებათაგანს.

ყველა ჩვენგანმა იცის, თუ რა გაჭირვებას განიცდის გალატაკებული სოფ-

*) პატრი ბენედიქტეს მოქმედებაზედ არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთებში წერილები.

ლის მუშა უფულობით. ხშირად მოხდება, რომ რამოდენიმე თუმნისთვის კი არა, რამოდენიმე მანეთის შოვნისთვის გაჭირვებულმა კაცმა რამოდენიმე დღე უნდა დაკარგოს და ისიც, შესაძლებელია, ტყვილა-უბრალოდ. თუ კი იშოვა ვისმესგან სასესხებლათ დიდი სარგებელი უნდა გადიხადოს. ბევრია ისეთი სოფლები ჩვენში, სადაც ჩარჩები თუმანზე თვეში ხუთ-ექვს შაურს ახდევინებენ. აბაზი ხომ დაკანონებული სარგებელია!

ეხლა წარმოიდგინეთ, თუ რა ზნეობრივი დამცირება უნდა გამოსცადოს კაცმა, როცა მეორეს, უფრო შეძლებულს ეღიტინება: შენი ჭირიმე, ამდენი და ამდენი ფული მასესხეო და დიდ სარგებელს გარდა ხელის გასაწყოს რას პირდება, ვინ იცის. უფულოთ კი არაფერი კეთდება. ფულია ღერძი დღეევანდელი ცხოვრებისა. ამიტომაც სოფლის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მევახშე ჩარჩვაჭრების ხელშია ჩაცვივნული, ფართხალობს მათ კლანჭებში, როგორც წიწილი ქორის ბრჭყალებში და ცდილობს გაინთავისუფლოს თავი მათგან, მაგრამ უფრო და უფრო იხლართება მათ გაბმულ ქსელში. და აი საკრედიტო ამხანაგობა არის ერთი იმ დაწესებულებათაგანი, რომლის საშვალებით გაღატაკებული გლეხობა შესძლებს იშოვოს საწარმოოთ თავიანთ საჭიროების დროს ადვილათ და ცოტა სარგებლით ფული. ეს საკრედიტო ამხგანაგობა დაუპირისპირდება სოფლის მევახშე შეძლებულ ელემენტებს და იხსნის მათი კლანჭებიდან მათ მსხვერპლებს. განსაკუთრებით ხელ-საყრელია ეს ამხანაგობები ჩვენი ხალხისთვის, რომელნიც თანდათან ღატაკდება და კარგავს თავის მიწა-წყალს. ამხანაგობებს აქვთ მიზნათ მისცეს საშვალება თავის წევრ-ამხანაგებს ადვილათ უხლაფორთოთ, თავის დაუმცირებლათ და იაფათ მისცენ სესხათ ფული. ეს სესხი უმთავრესად უნდა მოხმარდეს სამეურნეო წარმოებას და გაუმჯობესებას.

ამ საქმეს სათავეში რუსეთში უმეტეს ნაწილათ სამღვდელოება უდგია, მღვდელი არის არა როგორც მარტო ამხანაგი, არამედ, უმეტეს ნაწილათ, როგორც სოფელში უფრო შეგნებული ელემენტი, გამგეობის საბჭოს წევრი და მთელი პროცედურაც მის კისერზეა. ჩვენშიაც ხშირად სამღვდელოება უდგია სათავეში ამ ამხანაგობებს.

მაგრამ ზოგ ჩვენ თანამოძმებს ამ ამხანაგობებში მონაწილეობის მიღება საძრახისათ მიაჩნიათ და ზოგი კი აკრძალულათ უნდა სთვლიდეს ასეთ მონაწილეობის მიღებას. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ 1909 წელში ფინანსთა მინისტრმა მიმართა ეპისკოპოსებს წერილით, რომლითაც ატყობინებდა მათ, რომ 1909 წლის 18 იანვრის უქაზით სინოდმა შესაძლებლათ სცნო, რომ სამღვდელოებას მიეღო მონაწილეობა საკრედიტო ამხანაგობებში და სთხოვდა დახმარებას მათ დაარსებაში. ამ სინოდის დადგენილებამ გამოიწვია მათი მეუფებისაგან და მთელი რუსეთის სამღვდელოებისაგან სრული თანაგრძნობა. სამღვდელოება ზრუნავს რა თავის სამწყსოს კეთილდღეობაზედ, აცნობს მას (სამწყ.) საკრედიტო ამხანაგობის მიზანს, მოწყობას და მართვა-გამგეობის საქმეს.

ბევრ ჩვენ თანამოძმეებს, შეიძლება კიდეც სურთ სულით და გულით ემსახურონ ამ საქმეში ხალხს, მაგრამ უმეტესმა მათგანმა არ იცის, თუ როგორ დაიწყოს საქმე, არ არის გაცნობილი წესდებასთან და არ იცის ვის მიმართოს თხოვნით. წესდებები და სხვა ამ დაწესებულების შესახებ წიგნებ-ბლანკები ყოველთვის შეუძლია მსურველს მიიღოს წვრილი კრედიტის ინსპექტორისაგან, მაგრამ მსურველთა საყურადღებოთ

აქვე მოგვყავს თხოვნის ფორმაც: Въ Кутаисскій Губернскій Комитетъ по дѣламъ мелкаго кредита.

Мы нижеподписавшіеся жители (სახელი იმ სოფლის თუ ქალაქისა, სადაც სცხოვრობენ მთხოვნელები) просимъ разрешить намъ открыть кредитное товарищество по образцовому уставу, утвержденному Министромъ Финансовъ 14 сентября и измѣненному 24 ноября 1905 года.

Товарищество будетъ именоваться (მაგ. Тобаніерскимъ). Участниками товарищества могутъ быть лица проживающія въ сел. (ჩამოთვალე იმ სოფლის სახელები, რომლებიც შედიან ამა თუ იმ საზოგადოების ფარგალში, ან მოიხსენიე ერთი სახელით მთელი საზოგადოება) Правленіе Товарищества будетъ находиться въ (სახელი იმ სოფლისა ან კუთხისა, სადაც ბინა ექნება ამხანაგობის გამგეობას) Основной капиталъ товарищества въ три тысячи рублей просимъ выдать намъ въ ссуду изъ Государственнаго Банка. Условія этихъ ссудъ, утвержденныхъ Министромъ Финансовъ, намъ извѣстны и мы на нихъ согласны. Сумма до которой можетъ быть допущена задолженность одного товарища опредѣляется въ (მაგალითად რამდენსაც გადასწყვეტს მთხოვნელები, იმდენი უნდა დასწერო) 100 ან 200 ან 150 р., а вмѣстѣ ссудою подъ залогъ хлѣба или издѣлія ремесла въ „400" рублей (მეტი ან ნაკლები). Каждый товарищъ отвѣчаетъ по объязательствамъ товарищества вдвое противъ открытаго каждому кредита.

Просимъ объ открытіи товариществу въ Государственномъ Банкѣ краткосрочнаго кредита въ размѣрѣ пяти тысячъ рублей. Уполномочиваемъ по этому дѣлу входить въ сношеніе со всѣми правительственными учрежденіями и должностными лицами (званіе, имя, отчество и фамилія уполномоченнаго) Почтовый адресъ для переписки съ нашимъ уполномоченнымъ (такой-то).

და ხელის მოწერა. ამ თხოვნას უნდა გაუვლეს კიდევ ორი ქალალდი შემდეგი ფორმის:

Свѣдѣнія объ учредителяхъ (მაგ. (Тобаніерскаго) товарищества, учреждаемаго въ обществѣ, уѣзда и губерніи.

№№ по порядку.	Имя, отчество и фамилія учредителей.	Сословіе или званіе.	Гдѣ живетъ.	Сколько имѣетъ десятъ. зем.			Сколько скота.				Что стоитъ.			Главное занятіе.	Чѣмъ еще занимается.
				Надѣльной.	Собственной.	Арендуемой.	Лошади.	Коровъ.	Воловъ.	Мелкаго.	Соб.-ная земля.	Скотъ.	Постройки.	Прочее им.-ство.	

Свѣдѣнія о селахъ и деревняхъ и другихъ населенныхъ мѣстахъ, на которыя предпологается распространить дѣйствія (ამხანაგობის სახელი) кредитнаго товарищества въ губерніи.

Наименованіе сель. деревень, станицъ хуторовъ и. т. д. Какой валости и уѣзда.	Сколько верстъ отъ мѣстонахожденія правленія товарищества.	Сколько дворовъ въ селеніяхъ или число жителей въ городахъ или мѣстечкахъ.

ეს ხაზები უნდა გაივსოს შესაფერი პასუხებით.

ეს თხოვნა და ქალალდები, რომელზედაც უნდა ქონდეს ხელი მოწერილი (ხელის მოწერა მარტო თხოვნას უნდა) არა ნაკლებ ოცი კაცისა (რაც მეტი იქნება ხელის მომწერი უმჯობესია, მეტ კრედიტს მისცემს ბანკი) უნდა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ; ამ თხოვნის მიღების შემდეგ კომიტეტი აგზავნის წვ-

რილი კრედიტის ინსპეკტორს, რომელიც იბარებს ხელის მომწერლებს, უხსნის და უმარტავს მათ კრედიტის მიზანს და მნიშვნელობას, კრებს სხვა და სხვა ცნობებს ხელის მომწერლების და აგრეთვე სამოქმედო რაიონის შესახებ და ყოველივე ამ საქმეებს წარადგენს საგუბერნიო კომიტეტში. ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს მთხოვნელების თხოვნას და შემდეგ შუამდგომლობს პეტერბურგში ამა თუ იმ აძხანაგობის დამტკიცების შესახებ. პეტერბურგში უმთავრესი კომიტეტი ყოველ მიზეზს გარეშე აკმაყოფილებს საგუბერნიო კომიტეტის შუამდგომლობას. ამის შემდეგ ხელ-ახლა მოდის წვრილი კრედიტის ინსპეკტორი ყოველივე ქაღალდებით, აცხადებს ამხანაგობას გახსნილათ, აარჩევიებს ამხანაგობას გამგეობის და საბჭოს წევრებს და ამ უკანასკნელებს აცნობს საქმის წარმოებას. ამის შემდეგ ამხანაგობა ღებულობს სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხას და შეუდგება სესხის გაცემას. ყოველივე ამას დაჭირდება დრო ოთხიდგან—ხუთ თვემდე. ძირითად თანხად ბანკი იძლევა სამი ათას მანეთამდე და ამასთანავე მოკლე ვადიან სესხათ აძლევს კიდევ ხუთი ათას მანეთამდე. მაგრამ სესხის მიცემა დამოკიდებულია წევრთა სიმრავლეზე; ზემო ნახსენებ თანხას მისცემს ბანკი მაშინ, თუ წევრთა რიცხვი 80—90 არა ნაკლებია; თუ წევრი ამდენი არ არის უფრო ნაკლებ თანხას მისცემს მხოლოდ შემდეგ შეუძლია ბანკს მოუმატოს კრედიტი ამხანაგობას ბანკი იძლევა სესხს ამხანაგობებზედ 5% ე. ი. თვეში თუმანზე ღებულობს ოთხ ნახევარ კაპეიკს; ამხანაგობა კი ასესხებს ფულს თავის წევრებზე 12% ე. ი. თუმანს ორ შაურათ: ეს თავდაპირველად. შემდეგ ამხანაგობას შეუძლია შეუმციროს წევრებს სარგებელი. ასეთია მიზანი და დანიშნულება ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა და იმედია ჩვენი სამღვდელოება გულ-მხურვალედ შეუდგება მათ დაარსებას თავიანთ სამრევლოებში, რითაც დიდ ამაგს დასდებს გაჭირვებულ და გაღატაკებულ ჩვენ გლეხობას და საზოგადოთ სოფლის მცხოვრებთ. ამას გარდა ეს იქნება მრევლის და მღვდლის ერთმანეთში დამაახლოვებელი საგანი.

დასასრულ ურჩევ ყველას, ვისაც სურს გაეცნოს დანიშნულებას, მართვას და გამგეობას საკრედიტო ამხანაგობისა გამოიწერს რომელიმე მახლობელ წვრილი კრედიტის ინსპეკლორისაგან (ქუთ. გუბერნიისათვის Батумъ, Отдѣленіе Государственнаго Банка, Инспектору мелкаго кредита) მორაჩევსკის წიგნი „какъ устроить Кредитныя Товарищества“. აგრეთვე მეც ყოველთვის მზათა ვარ მსურველს საჭიროებას და მოთხოვნილებისთანავე გაუზიარო ჩემი ცოდნა — გამოცდილება ამ საქმის შესახებ.

მღვდ. სევერ. კეკელიძე.

(სტან. სამტრედია—სოფ. ტობანიერი.)

ეკვიდან-ეკვიამდე

პეტერბურგის აკადემიაში 50 სტუდენტი გამოურიცხავთ სასწავლო გადასახადის შეუტანლობისათვის და ეს დადგენილება კიდეც დაუმტკიცებია მიტროპოლიტ ვლადიმერს. ამბობენ ასეთი სისასტიკე ჯერ არ მომხდარაო. გამორიცხულ სტუდენტებისთვის გამოუცხადებიათ გავიდენ აკადემიიდან, სამშობლოში წასულ სტუდენტებისთვის—აღარ ჩამოვიდენ აკადემიაში. ამასთანავე სათანადო სამხედრო საკრებულოებისთვისაც უცნობებიათ გამორიცხულ სტუდენტების ვინაობა, რის გამო მათ უკვე აღარ შეუძლიათ ისარგებლონ არსებულ საღავათით.

14 იანვარს, ნინაობას მისმა ეპ. გიორგიმ მეუფებამ სწირა წმიდა ნინოს ზავედენიაში. მიწვეული იყვნენ ქალაქის ყველა სამღვთო სkულის მასწავლებლები.

როგორც გავიგეთ, მეფის მოადგილეს ბ. პავ. თუმანიშვილის მეთაურობით დეპუტაცია წარუდგა, რომელმაც გააცნო მის ბრწყინვალებას ათონის მთის ქართველ მოღვაწეთა მდგომარეობა, რომლებიც დღეს დიდ გაჭირვებას განიცდიან ბერძენ ბერებისაგან. მეფის მოადგილეს რუსის ელჩისთვის მიუწერია კონსტანტინეპოლში ეს გარემოება დაუთხოვნია დახმარება გაუწიოს ქართველ ბერებს.

ნ. დურნოვო სწერს გაზ. „ს.-პეტერბურგის უწყებებში“: როგორც ვიცით ქართველ თავად-აზნაურობას არა ერთხელ მიუმართავს რუსი ეგზარხისათვის, რათა მან იშვამდგომლოს სინოდის წინაშე, რომ ის ფულები, რომელიც შეგროვილი იყო ეგზარხი ფლავიანეს დროს მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად (150,000 მან.) და რომელიც ალექსის დროს გაიფლანგა ქართული სასინოდო კანტორის წევრების დაუდევრობის წყალობით ხელახლა შეევსო სინოდს. ამ საქმის შესახებ, ეხლანდელმა ეგზარხმა ინოკენტიმ განაცხადა, რომ სინოდი ერთ გროშსაც არ გამოიღებს მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად.

ამის შესახებ „Новое Время“ ამბობს: თუ ერთი სიძველის დაცვაზე თავს არ იტკივებენ, როგორიც არის მცხეთის ტაძრის აღდგენა, სამაგიეროთ 150,000 მანეთის გაფლანგვის ხსოვნა მაინც დარჩება, თუ კი მართალია დურნოვოს მიერ მოყვანილი ცნობები.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრება გაიხსნება 21 იანვარს სემინარიის ძველ შენობაში.

ნინოობა დღე ბაქოელებმაც იდღესასწაულეს. ამ დღეს პირველად ეღირსნენ აქაური ქართველები წირვა-ლოცვას დედა-ენაზე. წირვა სამმა ქართველმა მღვდელმა გადაიხადა აქაურ ფლოტის ეკლესიაში. გალობდა ამ დღისთვის შემდგარი ქართული გუნდი. მთელი წირვა და საგალობლები ქართულად შეასრულეს. მღვდელმა ერმ. კანდელაკმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვას დაესწრნენ ქართული შკოლის მოსწავლენი და დიდძალი ქართველობა.

ნინოობა დღეს არც ერთ ბაქოს სასწავლებელში სწავლა არ ყოფილა.

მოწერილი ამბავი.

სვირელმა ქალებმა დეკანოზ მიხეილ მჭედლიძის მეუღლის ბაბუსის თაოსნობით განიზრახეს ახლად აშენებულ თომა მოციქულის ეკლესიას შესწირონ სერობის ხატი. ეს ხატი უკვე ადგილზეა მოტანილი, დახატულია ხეზე და მორთული ოქროს ვარაყით, და ღირს ასი მანეთი. kერkერობით ამ საგნისთვის ფული შემოიტანეს:

ოლია ჩინჩალაძისაგან 50 კ., ეკაკი კაპანაძისამ 50 კ., ეკატერინე ღიბრაძისამ 20 კ., ნესტორ კობზირიძემ 1 მ. ნადეჟდა ჭყოიძემ 1 მ., ალექსადრამ გველესიანისამ 1 მ., მაშო კაკოურიძისამ 1 მ., ედუკი კაკოურიძისამ 50 კ., ფეოდოსი კაკოურიძისამ 50 კ., დესპინე ცხადაძისამ 1 მ., ეკაკი ბოქორიშვილმა 50 კ., მაშიკო ბოქორიშვილმა 50 კ., ტასია ედიბერიძისამ 1 მ., ქონია ბოქორიშვილმა 1 მ., ნიკოლოზ ცხადაძემ 30 კ. ალექსი kულელმა 50 კ., პორფილე kულელმა 50 კ., ნატალია გიორგაძისამ 1 მ., ელენე შაორშაძემ 50 კ., სანუშკია kულელმა 1 მ., პოლექსი წიგნაძემ 1 მ., არქპო kულელმა 50 კ., მღვდელმა გიორგი ჭყოიძემ 50 კ., მაკინე ბოქორიშვილმა 50 კ., ანტიოფ ბოქორიშვილმა 50 კ., მღდელმა ამბაკო ღიბრა-

ძემ 1 მ., გიგო ლეჟავამ 1 მ., ანნა ცხადაძემ 50 კ., ბაბუსი მჭედიძისამ 5 მ. კნეინა ნატალია ერისთავისამ 10 მ., .სალომე რობაქიძისამ 1 მ., მართა შარაბიძისამ 3 მ., ივლიდა ფოცხვერაშვილისამ 1 მ., იესე ჭყოიძემ 1 მ., ლიდა ჭყოგიძისამ 1 მ., მელიტონ კააძემ 1 მ.. პოლიეკტ ცხადაძემ 1 მ.,

იმედი გვაქვს სვირელი მამულიშვილი ქალი, თუ კაცი არ დაიშურებს თავის წვლილს ამ ახალ ეკლესიისათვის რომელიც ყველა სვირელი მამულიშვილისთვის დიდ სიამაყეს უნდა შეადგენდეს.

ადგილობრივი მღვდ. დეკ. მ. მჭედლიძე.

უსაბუთო ბრალდება მიცვალებულის მიმართ.

ახალი წლის წინადღეებში ვერაგულად მოკლეს იმერეთის ეპარხიის სოფ. სადემეტრაოს მღვდელი ვლადიმერ მიქიაშვილი. ამის შესახებ გაზ. „თბილისის ფურცელი“ ამბობს და გაზ. „მერცხალი“ იმეორებს, რომ ეს მკვლელობა რომანტიულ ნიადაგზე მოხდა, რომ სულიერ მამას ხორციელი კავშირი ჰქონია და სხვა...

De mortuum aut bene, aut nihil — მიცვალებულზე ან კარგი სთქვი, ან სულ არაფერიო, ამბობს ძველი ლათინური ანდაზა და უთუოდ იმიტომ, რომ მიცვალებულს აღარ შეუძლია ხმა ამოიღოს და თავი დაიფაროს ცილისწამებისაგან. ასე უნდა ვიქცეოდეთ დღესაც მით უფრო, რომ მიცვალებულს, როგორც ასეთს აღარ ძალუძს უკვე ვნების მოტანა და აღარც ხორციელ სასჯელს ექვემდებარება, რაც უნდა დამნაშავე იყოს; ამიტომ ისევ სიჩუმე სჯობს, როგორც გვასწავლის ზემო აღნიშნული ანდაზა. მაგრამ ამ ანდაზის მორალს არ ემორჩილება, როგორც ჩვენს, „თბილისის ფურცელი“—ეს სომეხშოვინისტთა ორგანო. ყველაფრით სჩანს, რომ ეს ორგანო აღარც ქართველ მიცვალებულებს ასვენებს საფლავში. ამას წინათ იყო და თამარის ზნეობრივ სიწმინდეში ეჭვი შეიტანა... ახლა უბრალო მომაკვდავი, სოფლის მღვდელი, ისიც, მიცვალებული, გამოიგდო და, ვინ იცის, რას არ სწამებს? ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ თბილისის-ფურცელს ეს ამბავი თითონ არ შეუთხზავს, მაგრამ იმაშიდაც დარწმუნებული ვართ, რომ მას არავითარი საბუთი არ ქონდა და არ აქვს იმისა, რომ მღვდლის ვლ. მიქიაშვილის მკვლელობა რომანტიულ ნიადაგზე მოხდა. დიდი სირცხვილი კია, გაზეთი ასეთ შეუმოწმებელ ხმებს ავრცელებდეს მიცვალებულზე, რომელსაც მასთან არავითარი თვალსაჩინო ადგილი არ სჭერია სიცოცხლეში და არც ცნობილი ყოფილა არაფრით. რათ დასჭირდა გაზეთს ასეთი ადამიანის ხსენება თავის ფურცლებზე, თუ შოვინისტურ მიზნით არა?

არ იყოს, რომ გული არ გვტკიოდეს გაზეთ „მერცხალზედაც“, რომელმაც სრულიად შეუნიშნავად გადმობეჭდა ეს ამბავი თავის ფურცლებზე „ვით მარგალიტი ობოლი“ და ცოტა არ იყოს კიდეც უხარის და, როგორც რუსები იტყვიან, злорадствуетъ საწყალ ვერაგულად მოკლულ მღვდელზე. არც მას შეფერის ასეთი საქციელი (იხ. მერცხ. № 12)...

ხელი.

ღია წერილი.

დეკ. მ. ერმალოზ ვეფხვაძეს.

წასული წლის 16 ივლისს თქვენ მიართვით ყოვლადსამდვდელოს ჩემზე ცილისწამებით სავსე საჩივარი და, როდესაც ამ საჩივარმა სრულიად გარეშე პირებიც კი ააღელვა და აალაპარაკა გაზეთის ფურცლებზე, თქვენ ცდილობთ ეს თქვენი „დანოსი“ უბრალო შეკითხვათ გამოიყვანოთ და გაშავებული პი-

რი გაითვალოთ. ამით ვის უხვევთ თვალებს, მე თუ საზოგადოებას? თუ კი თქვენი შეკითხვებით გულწრფელად მოქმედობდით და მართლა საეჭვო კითხვების გამორკვევა გსურდათ, რა საჭირო იყო ამაზე მთავრობის შეწუხება? მართალია, მე სრულებით უსწავლელი ვინმე ვარ, მაგრამ მაგისთანა უბრალო შეკითხვები, რომლებიც თქვენ დიდ თავსატეხ გამოცანათ მიგიჩნევიათ, ჩემთვის რომ მოგეცათ, მე, ეს უსწავლელი მღვდელიც, სრულებით საყაბულო პასუხს მოგცემდით და ადვილათ გაგიმარტავდით. მაგალითად, თქვენ ეკითხებით მთავრობას, გაქვსთ თუ არა თქვენ, როგორც ბლაღოჩინს, უფლება ჩემი შკოლის ეკლესიის რევიზიისა. ამას რა კითხვა სჭირდებოდა? ეს როგორ არ იცოდით, რომ ამ შკოლის ეკლესიის რევიზიის უფლება სრულებითაც არა გაქვსთ, რადგან ეს ეკლესია „საეპარქიო უწყების“ კი არ გახლავსთ, არამედ სამოსწავლო უწყებისაა და თუ იმას ბლაღოჩინმა წაუპოტინა ხელი, მაშინ იმავე ლოლიკის ძალით თფილისის სემენარიის ეკლესიას რევიზია უნდა გაუკეთოს თფილისის ბლაღოჩინმა, ქუთაისის საეპარქიო და სასულიერო სასწავლებლების ეკლესიებს ქუთაისის ბლაღოჩინმა, გემნაზიების ეკლესიებს ადგილობრივმა ბლაღოჩინებმა და ასე ყველგან. მაგრამ მიბრძანეთ, ასეა საქმე?! გაბედავენ ეს ბლაღოჩინები დასახელებული ეკლესიების დახედვას და ან გაუბედნიათ როდისმე?! ეს ერთი. მეორეთ, ეკითხებით მთავრობას, უნდა ქონდეს თუ არა ჩემ შკოლის ეკლესიასა შესავალ-გასავლის წიგნი. ეს შეკითხვა, სამწუხაროდ, იმას ამტკიცებს, რომ თქვენთვის ხსოვნას უღალატნია, რადგან დაგვიწყნიათ იმ წიგნის არსებობაც კი, რომელიც თვით თქვენგან შეძენილი მაქვს და კანონიერ წარმოებაშიდაც არის დღიდგან ეკლესიის დაარსებისა. მაშასადამე თქვენი შეკითხვით თვითონ თქვენ პირსვე წასცხეთ ტალახი. ცხადია რომ საქმისადმი სიყვარულს კი არ გამოუწვევია ეს შეკითხვა, არამედ თქვენ არაწმიდა სურვილს, რომ ჩემ კეთილ საქმეებში ჩაეჩრათ, ხელი ლი შემიშალოთ, დამაბრკოლოთ, წყალი აამღვრიოთ და შიგ თევზები ადვილად იჭიროთ. თუ ასე არ იყოს, რვა წელიწადია, რაც მე ეს შესავალ-გასავლის წიგნი მაქვს და თქვენ არა თუ არ შემოსულხართ ეკლესიაში მის გასახილავათ, არამედ არც კი გცოდნიათ, არის თუ არა ეს წიგნი და მთავრობის საშუალებით გინდათ შეიტყოთ, არის თუ არა საჭირო ამისთანა წიგნი. თუ სადმე სამართალია, თქვენ ასეთი საღათას ძილისათვის, თუ მართლა ეს თქვენს მოვალეობას შეადგენდა, დიდი სისტიკინები უნდა შეგხვდესთ პირდაპირი პასუხის ნაცვლად. რომ ამ საქმეში თქვენ გამოქმედებსთ სულ სხვა ჯურის განზრახვა, ეს იქიდგანაც ცხადია, რომ ჩემი შტატის ჩხერის ეკლესიის შესავალ-გასავლის წიგნი, რომელიც პირდაპირ თქვენ გექვემდებარებათ, სრული ათი წელიწადია, რაც არ გინახიათ და არც შეგიმოწმებიათ! სად იყო თქვენი ერთგულობა და რათ თავთავის დროზე არ შეამოწმეთ ხოლმე ეს წიგნი? რაც პირდაპირ თქვენს მოვალეობას შეადგენს, ის სრულებით არ გახსოვსთ და იქ კი ეჩრებით, სადაც თქვენი საქმე არ არის!

ეს მოგდისთ თქვენ უზომო შურიანობით და სიხარბით. ამის დამამტკიცებელი ფაქტები სხვაც ბევრია. თქვენ შემომეპარეთ მრევლში, დასახლდით შიგ და მერე ფლობელობა იხმარეთ ჩემს მრევლზე და ადგილობრივ ახლად გახსნილ სასამართლოზე, ე. ი. წამართვით ნახევარი ბაზარი და სასამართლოში ნახევარი შემოსავალი. საბუთად იმას ხმაროობთ, რომ თქვენ ჩემს მრევლში ცხოვ-

რობთ. ვერაფერი საბუთია, თქვენმა მზემ. ასე რო იყოს, მაშინ რამდენი მღვდელი ჩაესახლება, მაგალითად, ქუთაისში, თბილისში, პეტერბურგში და სხვაგან?

მესამეთ, თქვენ ვერ გაგიგიათ ვინ უნდა განაგებდეს ჩემი შკოლის ეკლესიის შამოსავალს, მე როგორც გამგე, თუ სხვა ვინმე? ნუ თუ არც ეს იცოდით, რომ იმისთანა წვრილმან ფულებს, როგორიც ჩემი შკოლის ეკლესიაში შემოდის, ყველგან განაგებს მარტოდ-მარტო ადგილობრივი მღვდელი. მაგისთანა უმნიშვჩელო და უადგილო შეკითხვას, ის არ სჯობდა შეგეკითხათ მთავრობისათვის, თუ ვინ წაიღო და სად გააქრო ის 556 მან. და 39 კაპ., რომლებიც გვირგვინაკებში აღებული რვა წლის წინეთ თქვენ საბლაღოჩინოში, თქვენამდის არის მოსული და მერე კი კვალი აღარ უჩანს? ამას გარდა ჩემი შკოლის ეკლესიას წლიურათ შემოდის არა უმეტეს 15 მანეთისა, რომელი შემოსავალიც ზედაშესა და სებისკვერს უნდება. თქვენ ამ კაპეიკებზე მიკეთებთ რევიზიას და იმას კი აღარ იხსენებთ, რომ თვით ეს ეკლესიაც და ეს შკოლაც ჩემი აშენებულია; შიგ ოცი ათას მანეთამდის ფული ჩამიყრია და დღესაც უზომო ხარჯებს ვეწევი მეორე შკოლის აშენებაზე. სამწუხაროა იმ ზომამდე კაცის სიბრმავე, რომ ქვეყნის ოდენა სიკეთეს ვერ ხედავდეს ბუკეთურების ბეწვს კი ეძებდეს სხვის თვალში. ეს მით უმეტეს სამწუხაროა და ამაღელვებელი, რომ თვითონ თქვენ გიკიჟინებენ გაზეთების ფურცლებზე თქვენდამი რწმუნებული ეკლესიების ფულების გაფლანგვას, პასუხს გთხოვენ, საჯაროთ სამართალში გიწვევენ, გსვრიან, ჩირქს გცხებენ, საშინელება ბოროტებას გწამებენ, თქვენ კი მოქალაქობრივი გაბედულობის გამოჩენის და თავის გამართლების ნაცვლად, პირში წყალი ჩაგიყენებიათ, იმალებით, სიჩუმით თქვენს დანაშაულს ადასტურებთ და ამისთანა პირი იმავე დროს კაპეიკების ანგარიშს მთხოვთ და რევიზიას მიკეთებთ ისეთ საქმეში, რომელიც თქვენ სრულებითაც არ გექვემდებარებათ. სასაცილოა ეს თქვენი მოქმედება, სატირალი რომ არ იყოს!..

ყოვლადსამღვდელო სრულიად საფუძვლიანათ ბრძანებს თავის რეზოლიუციაში „ასეთი მოქმედება (რევიზია) არავის შეურაცხყოფსო—„никого не манкируетъ". მე მეტსაც ვიტყვი ასეთი რევიზია არა თუ შეურაცხებას არ მომაყენებს, არამედ კიდეც გამომაჩენს; ამიტომ რევიზიის მე არც მეშინია და არც მცხვენია, წინააღმდეგ მსურს კიდეც, რაც შეიძლება, მეტი პირი გაეცნოს ჩემ მცირე მოღვაწეობას, გამამხნეოსა მოხუცი, მიჩვენოს ჩემი უნებლიეთი შეცთომები, რომ ჩემ სიცოცხლეშივე გავასწორო და საბუთი არავის მივსცე ჩემი უმართლოდ ლანძღვა-გინებისა. მაგრამ უნდა გამოვტყდე, არ მწამს და არ მინდა ისეთი რევიზორი, რომელსაც საქმის სიკეთე და სიყვარული კი არ ამოძრავებს, არამედ მარტოოდენ მოყვასის შეწუხება და შეურაცხების მიყენების სურვილი.

დეკ. რომანოზ დეკანოსიძე:

ძადლობის გამოცხადება!

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზ. „შინაური საქმეების" საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემგან აგრეთვე ჩემი სამრევლოდანაც ქართლ-კახეთის ეპარქიის, შუამთის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს, რომელმაც კეთილინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ეწრის ტობანიერის სამების ეკლესიას ერთი

ხელი სამღვდელო შესამოსელი, გარდა სტიხარისა, ღირებული 50 მანეთად.

მღვდელი ეწრის ტობანიერის წმ. სამების ეკლესიისა ამბერკი მომფორია.

—

მამაო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთ „შინაური საქმეების“ საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე ისეთ ჩემმა სამრევლომ, ივანე მაქსიმესძე ქერქაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ეკლესიას კრეტსაბმელი ხუთ მანეთათ ღირებული.

ქვედა უჩხუმის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მღ. დიმიტრი შავიშვილი.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**
გამომცემელი **იოსეგ ლეჟავა**



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ლ. ქ. ნავთით

-×: განათებისა :×-

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათომის მაზრის ამ მშვენიერ ხანგძლივ ×: ფარნებისა.

იგი ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

ძისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თეოდორაძის სახლი. ტელეფონი № 18.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

განათლება

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლებაზე“ წელიწ. მე-6-. 1913 წელს ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები. იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ. წლიური ფასი ჟურნალისა არის 4 მ., მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მ., საზღვარ-გარედ 6 მ. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს გაწსვენებულის **იაკობ გოგებაშვილის** მოზრდილ **სურათს.** ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ივანე ავალიშვილთან ქუთაისში ისიდორე კვიკარიძესთან, ბათომში - წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს, დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. მისამართი: Тифлисъ Грузин. Дворянская Гимназія. Л. Г. БОЦВАДЗЕ. რედ.-გამ. **გ. ბოცვადზე.**

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა სახ. № 17.